# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ნოემბერი, 2021

# ძირითადი ცვლილებები

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2021 წლის ოქტომბერში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 6.9 პროცენტი, ხოლო პირველი 10 თვის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 10.5 პროცენტი. 2020 წლის დაზუსტებული მონაცემების მიხედვით, 2020 წლის ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -6.8 პროცენტი.

- წლიურმა ინფლაციამ ნოემბერში შეადგინა 12.5 პროცენტი, თუმცა საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 6.1 პროცენტს

- ოქტომბერში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 31.4 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 24 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 18.3 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 492.8 მლნ აშშ დოლარს

- ოქტომბრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 6.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.5 პროცენტით წინა თვესთან

- საქართველოს ეროვნული ბანკმა უცვლელად დატოვა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10 პროცენტის ნიშნულზე

# ეკონომიკურმა ზრდამ ოქტომბერში შეადგინა 6.9 პროცენტი

## ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




- წინასწარი შეფასებით, 2021 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 6.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო 10 თვის საშუალო მაჩვენებელი გაუტოლდა 10.5 პროცენტს.
- 2021 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ხელოვნება, გართობა და დასვენება, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, სასტუმროები და რესტორნები, ვაჭრობა
- კლება დაფიქსირდა მშენებლობის დარგში.

## ეკონომიკური ზრდა, % თ/თ




## ეკონომიკური ზრდა, 2021-2019




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# ნოემბრის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 12.5 პროცენტი

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




## ინფლაციის დეკომპოზიცია




## საბაზო ინფლაცია




## ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 18.3 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ




ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, %წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- ოქტომბერში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 31.4 პროცენტით და გაუტოლდა 411.2 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 34.2 პროცენტით და გაუტოლდა 318.2 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 24 პროცენტით და გაუტოლდა 903.9 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 18.3 პროცენტით და გაუტოლდა 492.8 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წილმა შეადგინა 22.6 პროცენტი (23.9 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 40.9 პროცენტი (41.6 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა -1.3, 14.1 და 11.1 პროცენტით შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

## ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




## ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ოქტომბერი




## იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %




## იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ოქტომბერი




- ექსპორტის ტოპ საქონელი:
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 83.9 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 20.4 პროცენტი.
  - ფეროშენადნობები: 61.5 მლნ აშშ დოლარი - 14.9 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 35.1 მლნ. აშშ დოლარი - 8.5 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ საქონელი:
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 75.9 მლნ. აშშ დოლარი - მთელი იმპორტის 8.4 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 49.1 მლნ აშშ დოლარით - 5.4 პროცენტი.
  - სამკურნალო საშუალებები: 41.4 მლნ აშშ დოლარით - 4.6 პროცენტი.
- ექსპორტის ტოპ ქვეყნები:
  - ევროკავშირი: 94 მლნ. აშშ დოლარი - 22.9 პროცენტი.
  - რუსეთი: 55.6 მლნ. აშშ დოლარი, 13.5 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 43.2 მლნ. აშშ დოლარი, 10.5 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ ქვეყნები:
  - ევროკავშირი: 217 მლნ. აშშ დოლარი - 24 პროცენტი.
  - თურქეთი: 170.9 მლნ. აშშ დოლარი - 18.9 პროცენტი.
  - ჩინეთი: 105.3 მლნ. აშშ დოლარი - 11.6 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

# კოვიდ-ვირუსის გავრცელების გამო ტურიზმის აღდგენა შეჩერდა და ოქტომბერში მიაღწია 2019 წლის 53.3 %

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100




ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, ოქტომბერი 2021

| ქვეყანა | ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი) |
|---|---|
| ევროკავშირი + დიდი ბრიტანეთი | 22.0 |
| უკრაინა | 14.5 |
| რუსეთი | 18.3 |
| თურქეთი | 14.8 |
| ისრაელი | 15.6 |
| საუდის არაბეთი | 9.5 |
| სხვა | 47.7 |

- 2021 წლის ოქტომბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 835 პროცენტით და 142.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაღალი ზრდა განპირობებულია 2020 წლის ოქტომბრის დაბალი მაჩვენებლით (15.2 მლნ აშშ დოლარი).

- რეგიონსა და ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების მიუხედავად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ნაკლებია 2019 წლის მნიშვნელობაზე. კერძოდ, 2019 წლის ოქტომბერთან შედარებით, 2021 წლის ოქტომბერში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შემცირებულია 46.7 პროცენტით.

- სეზონურად მოსწორებული ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის თვიური ზრდა ოქტომბერში გაუტოლდა -8.2 პროცენტს, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია ოქტომბრის თვეში კოვიდ-ინფიცირების შემთხვევების მნიშნელოვანი მატებით.

ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %




წყარო: სებ

# რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების შედეგად იზრდება ფულადი გზავნილები

## წმინდა ფულადი გზავნილები, 2021-2019




## წმინდა ფულადი გზავნილები, ოქტომბერი 2021

| ქვეყანა | წმინდა ფულადი გზავნილები | ცვლილება, %წ/წ | წვლილი ზრდაში, პპ |
|---|---|---|---|
| იტალია | 32.4 | 19.5% | 3.3 |
| აშშ | 23.2 | 10.5% | 1.4 |
| გერმანია | 10.3 | 39.8% | 1.9 |
| საბერძნეთი | 17.9 | -4% | -0.5 |
| თურქეთი | 1.0 | -80.4% | -2.7 |
| უკრაინა | 4.7 | -47.8% | -2.7 |
| სხვა | 86.9 | 25% | 11 |

- 2021 წლის ოქტომბერში წმინდა ფულადი გზავნილები 176.4 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 11.7 პროცენტიან წლიურ ზრდას. 2019 წლის შესაბამის თვესთან, წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია 34.9 პროცენტით.
- გზავნილები გაიზარდა:
  - იტალიიდან: 19.5 პროცენტი (3.3 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - აშშ-დან: 10.5 პროცენტი (1.4 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - გერმანიიდან: 39.8 პროცენტი (1.9 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
- გზავნილები შემცირდა:
  - საბერძნეთიდან: 4 პროცენტი (-0.5 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - თურქეთიდან: 80.4 პროცენტი (-2.7 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - უკრაინიდან: 47.8 პროცენტი (-2.7 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).

## წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




წყარო: სებ

# ოქტომბერში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად გამყარდა 6.9 პროცენტით

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი




ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

| | 30 ნოემბერი, 2021 | 30 ნოე 2021 - 1 იან 2021 | 30 ნოე 2021 - 1 იან 2020 |
|---|---|---|---|
| ევრო | 3.4849 | -7.8% | -12.2% |
| აშშ დოლარი | 3.0867 | -7.1% | -13.4% |
| თურქული ლირა | 0.2441 | 97.3% | 107.0% |
| რუსული რუბლი | 0.0412 | 11.9% | -6.8% |
| ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი | 130.26 | 17.7% | 9.3% |
| რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ოქტომბერი, 2020) | 118.83 | 13.3% | 4.9% |

წყარო: სებ

# იანვარ-ნოემბერში საგადასახდო შემოსავლებმა 3 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზს

## ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, ნოემბერი 2021




## ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი




## გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




## ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2021 წლის გადასახადების იანვარ-ნოემბერში საპროგნოზო მაჩვენებელი 11,654 მლნ ლარს შეადგენს, 2021 წლის იანვარ-ნოემბრის ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 3 პროცენტით მეტია, და შეადგენს 11,999.8 მლნ ლარს.
- 2021 წლის ნოემბერში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,304.8 მლნ ლარი, რაც 19.7 პროცენტით მეტია დაგეგმილ მაჩვენებელზე - 1,089.8 მლნ ლარს.
- 2021 წლის ოქტომბერში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 24 პროცენტით, ხოლო ხარჯები 7.5 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა -24.4 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -267.1 მლნ ლარით.
- გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საშემოსავლო გადასახადიდან და დღგ-დან მიღებულმა შემოსავლებმა: 9.6 და 4.8 პროცენტიანი კონტრიბუცია მთლიან ზრდაში, შესაბამისად.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა მცირე ცვლილება

## პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




## საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი




## ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




## ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით




- 2021 წლის ნოემბერში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური გამოშვებით 191.375 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.148 პროცენტი შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 50 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2021 წლის 30 ნოემბრისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 18.84 პროცენტი ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ოქტომბერი 2.29) შედარებით გაიზარდა და 2.37 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# ლარიზაციის მაჩვენებლები განაგრძობს ზრდას

## სესხების ლარიზაცია







## დეპოზიტების ლარიზაცია







- 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 48.4 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 63.6 პროცენტი.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 32.5 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 38.6 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 54.6 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 24.5 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 39.8 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 44.9 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 29.5 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

# ვლინდება სესხების წლიური ზრდის ტენდენცია

## სესხების წლიური ზრდა




## სესხების წლიური ზრდა




## უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ




- 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, 2020 წელის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.2 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 16.6 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.8 პროცენტს შეადგენს.
- 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის  მნიშვნელობა 26.6 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 7.9 პროცენტს გაუტოლდა.
- 2021 წლის  31 ოქტომბრის მდგომარეობით,  უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 28.7, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 6.5 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

# ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა აჭარბებს უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდას

## დეპოზიტების წლიური ზრდა




## დეპოზიტების წლიური ზრდა




## დეპოზიტების წლიური ზრდა




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 ნოემბრის 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14.2 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 17.3 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 12.3 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 17.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეინიშნა და ამავე პერიოდში მისი მნიშვნელობა 10.8 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2021 წლის ნოემბრის დასაწყისში შეადგინა 30.4 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 4.2 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 15.9 პროცენტი.

წყარო: სებ

# საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უცვლელად დატოვა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

## ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




## სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 27 ოქტომბერს რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეადგენს 10 პროცენტს.
- სებ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილ ფასებზე. ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯებმა, რაც იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე ახდენს გავლენას.
- ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, წლის დარჩენილ პერიოდში ინფლაცია მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება. მიმდინარე წლის დეკემბერში და მომავალი წლის იანვარ-თებერვალში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი კომუნალური გადასახადების სუბსიდირების საბაზო ეფექტის გამო დამატებით გაიზრდება. ხოლო 2022 წლის გაზაფხულიდან ინფლაცია შემცირდება, რასაც, დროებითი ფაქტორების მილევასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და ფისკალური კონსოლიდაცია შეუწყობს ხელს.
- მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 8 დეკემბერს ჩატარდება.
- 2021 წლის სექტემბრის თვეში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 60 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.

წყარო: სებ

# საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით შემცირდა

## საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე




## საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე







- 2021 წლის 1 ნოემბერს უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.8 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.8 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.8 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 20.5 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 5.7 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 17 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.3 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.9 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის ოქტომბრის ბოლოს 13.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 6.8 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 5.9 პროცენტი.

**წყარო: სებ**

# საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო